წათე ბაწაში
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.batsashi@freeuni.edu.ge

1914 წ. სტამბოლში დაარსებული ლაზი სტუდენტების საზოგადოება

რეზიუმე

ოსმალეთის იმპერიაში, სადაც ყველა მაჰმადიანი გაერთიანებული იყო ერთ მუსლიმ თემში, რამენაირი ეროვნული სათვისტომოს, მითუმეტეს ორგანიზაციის, შექმნა იყო აკრძალული და სასტიკად იდევნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ პროგრამაში ხაზგასმულია ის, რომ „ორგანიზაციის მიზანია მხოლოდ ლაზ სტუდენტებსა და ინტელიგენციას შორის მეგობრობის და ძმობის განმტკიცება, მათი ცოდნის გაფართოება, გაჭირვებულთათვის დახმარება“, „დიადი ოსმალური გრძნობების ერთგულებასთან ერთად“, ამ ორგანიზაციის წევრებს ლაზების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე უნდა ეღვაწად. ორგანიზაციას არავითარი ფორმით პოლიტიკური საქმიანობა არ უნდა ეწარმოებინა. ის, რომ წესდებაში ლაზური ენის და ლაზების თვითმყოფადობის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, – ჩვენი აზრით, არის კონსპერაცია, რადგან თვით სახელწოდებაში ყველაფერი ნათქვამია.

მაღალფარდოვანი ოსმალურით დაწერილი წესდება შედგება ათი თავისა და 32 მუხლისაგან. ყურადღების მიმქცევი მხარე მასში ის არის, რომ აღმასრულებელ საბჭოს ეძლევა ძალიან დიდი უფლებები... ამის საწინააღმდეგოდ მმართველი და საერთო საბჭოს უფლებები შეზღუდულია.

პროგრამაში დამაარსებელთა სახელები მოყვანილი არ არის, ამის გამო 1919 წელს შექმნილი „ლაზთა ეროვნული განვითარების ორგანიზაციის“ დამაარსებლად მიჩნეული პიროვნებების ამ საზოგადოებასთან კავშირი არ დგინდება. პროგრამა მიღებულია 1914 წელს, დაბეჭდილი კი არის 1916 წელს. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ რომ, ორგანიზაცია სულ ცოტა ამ ორ თარიღს შორის მოქმედებდა. რადგან ამ წესდების პირველ მუხლში წერია, რომ: “ამჟამად, ლაზთა ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელით სტამბოლში ერთი საზოგადოება შეიქმნა“. სიტყვა „ამჟამად“ მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო ადრე შექმნილი „ლაზი სტუდენტების ეროვნული ორგანიზაციის“ გაგრძელებაა.

ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდი, იმპერიაში მცხოვრებ სხვა ეროვნებებთან ერთად ლაზებისთვისაც ეროვნული თვითშეგნების მოძიების პერიოდი იყო.

საკვანძო სიტყვები: ლაზები, ორგანიზაცია, ოსმალები, სტუდენტები, წესდება.

1908 წ. მეორე კონსტიტუციის რეფორმების პერიოდმა აზრობრივ მიმდინარეობებთან ერთად ნაციონალური ორგანიზაციების შექმნასაც შეუწყო ხელი. ეს იყო ის დრო, როდესაც ლაზებმა საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე დაიწყეს ფიქრი. მაშინდელ ევროპულ პრესაში, ამის შესახებ, უამრავი მასალა მოიპოვება. მაგრამ ოსმალურ გაზეთებში, რამდენიმე განცხადების გარდა, არაფერი არ არის. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ თურქეთში ნაციონალურ მოძრაობებთან დაკავშირებული წყაროები და მასალა დღემდე მკაცრად გასაიდუმლოებულია. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები ეხება ორ ორგანიზაციას. მათგან მხოლოდ ერთის

წესდებაა გამოქვეყნებული ზექი სარიჰანის მიერ (Sarıhan 1994, 44-47), რომელსაც ჩვენ ვიყენებთ.

თარიქ ზაფერ თუნაიას წიგნის მეორე ტომში „თურქეთში პოლიტიკური პარტიები“, „ლაზური ნაციონალური განვითარების ორგანიზაციასთან“ დაკავშირებით წერს: “ლაზური სეპარატისტული იდეა კონსტიტუციის წლებში იყო. მაგალითად, 1914 (1330) შეიქმნა „ლაზი სტუდენტების ნაციონალური ორგანიზაცია“. მაგრამ „ლაზობა“ თავის სეპარატიზმში გამოყოფის მიზანს არ ატარებდა“ (Tunaya 1986, 456–459).

ლაზი სტუდენტების ორგანიზაციასთან დაკავშირებით თუნაია სკოლიოში, პრემიერ მინისტრის არქივის „ორგანიზაციათა დოსიეზე“ დაყრდნობით უთითებს: “ორგანიზაციის შექმნის მაუწყებელი „საბუთი“ (განცხადება) 1914 (1330) წლის ორ აპრილს შეტანილ იქნა სტამბოლის ვილაიეთის კანცელარიაში და დამოწმებული და რეგისტრირებულია 1914 (1330) წლის 10 აპრილს“. (Tunaya 1986, 456–459).

თუნაიას მიერ მხსენიებული „ლაზი ინტელიგენციის ნაციონალური ორგანიზაციის“ 32 მუხლიანი დაბეჭდილი წესდება (პროგრამა) ეროვნულ ბიბლიოთეკაში იქნა აღმოჩენილი. ბროშურას, რომლის ფორმატია 11,7 სმ. სიფართე და 20 სმ. სიმაღლე ზედა ყდაზე აწერია სათაური: “ლაზი სტუდენტების ეროვნული ორგანიზაციის ძირითადი წესდება, სტამბოლი–ზერაფეთის სტამბა, 1332 (1916)“. ამასთან ერთად ბეჭედიც არტყია, რომელშიც იკითხება „ლაზი სტუდენტების ორგანიზაცია“. ეს წარწერა მთვარესა და ვარსკლავისგან შემდგარ ემბლემის შიგნით არის მოთავსებული. ემბლემის შიგნით 1330 (1914) თარიღიც იკითხება. იგივე წარწერები და ბეჭედი პირველ გვერდზეც არის , მხოლოდ დამატებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ბეჭედიც და წარწერა: “სელიმ ნუზჰეთ ჭეშმარიტი წიგნების ყიდვა–გაყიდვის ასოციაცია ნომერი A490,1971, მარჯვენა ქვედა კუთხეში რეგისტრაციის ნომერია – 1960/1144. ამ გვერდის სხვა ადგილზე 1952 თარიღიც იკითხება.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ბროშურის დაბეჭდვა მოხდა „აკრძალვის და აყრეფის“ 1934 წელს მიღებულ კანონზე ადრე. ამ კანონის მიღებასთან ერთად შექმნილ „ამკრეფი მმართველობის“ სათავეში მოყვანილ იქნა ჟურნალისტი და მწერალი სელიმ ნუზჰათ გერჩექი. ზუსტად მისი ბიბლიოთეკიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადავიდა და დიდი ხნის შემდეგ მიიღო სარეგისტრაციო ნომერი ამ ბროშურამ.

ათი ნაწილისა და 32 მუხლისაგან შემდგარი წესდების პირველ ნაწილში საზოგადოების დასახელება და მიზნებია მოყვანილი. ამის მიხედვიდ „ლაზი სტუდენტების ორგანიზაცია“ 1914 წლის 2 აპრილს სტამბოლში დაარსდა. მისი მიზანი იყო ლაზ სტუდენტებს შორის მეგობრობის და ძმობის განმტკიცება, მათი ცოდნის გაფართოვება, გაჭირვებულთათვის დასახმარებლად სალაროს შექმნა. ორგანიზაციას „დიადი ოსმალური გრძნობების“ ერთგულებასთან ერთად, ლაზების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზეც უნდა ეღვაწა. ორგანიზაციას არავითარი ფორმით პოლიტიკური საქმიანობა არ უნდა ეწარმოებინა. ორგანიზაციის წევრობა და ორგანიზაციაში შესვლის პირობები მეორე ნაწილშია ახსნილი და მის მიხედვით ორნაირი წევრობა იყო დაშვებული: უშუალო (ნამდვილი) და საპატიო. ყველა ლაზს, რომელიც კანონიერი უფლებების მატარებელია და არის სტუდენტი ან უნივერსიტეტ-დამთავრებული და თვეში სულცოტა ხუთი ყურუშის გადახდის ვალდებულებას აიღებს, შეეძლება ორგანიზაციაში გაწევრიანება. მხოლოდ ამისთვის ორი წევრის რეკომენდაცია და მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებაა საჭირო. წევრებად მიღებულებს წევრობის დამადასტურებელი წიგნაკები დაურიგდებათ. ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ მოქმედნი კი, მმართველი საბჭოს ორიმესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით დათხოვნილი იქ-

ნებიან ორგანიზაციიდან, მაგრამ მათ საერთო საბჭოში ამის გასაჩივრების უფლება აქვთ. საზოგადოებისთვის მატერიალური და მორალური დახმარების გამწევებს შეეძლიათ გახდნენ საპატიო წევრები.

მესამე ნაწილი ეხება გენერალური (საერთო) კრების და შეკრებების მოწყობას. ამის მიხედვით წელიწადში ორჯერ აპრილის და ოქტომბერის თვეებში ჩვეულებრივი საერთო სხდომები უნდა ჩატარდეს და საგანგებო ყრილობების ჩატარების პირობებს ხსნის. ერთპარაგრაფიანი მეოთხე ნაწილი ადგენს გენერალური საბჭოს ვალდებულებებს და უფლებამოსილებებს. შემდეგ განიხილება მართვა, კონტროლი და მმართველი (აღმასრულებელი) საბჭოს ვალდებულებები და უფლებები. ამის მიხედვით, პირველ კონგრესში ათკაციანი მმართველი საბჭო უნდა აირჩეს. პირველი ორი წლის განმავლობაში მმართველი საბჭოს წევრების ნახევარი ამ საბჭოს წევრი იქნება. კონტროლის საბჭო – 4, აღმასრულებელი საბჭო კი რვა კაცისაგან შედგება. მოვალეობის ხანგრძლივობა ორი კრების პერიოდია. გამგეობის წევრი, რომელიც ოთხჯერ და თავმჯდომარე, რომელიც სამჯერ სხდომაზე არ მოვა თანამდებობას დაკარგავს. მმართველ საბჭოს შეუძლია დაითხოვოს რომელიმე წევრი, თუ შენიშნა მისი ცუდი ქცევა და კორუმპირება. პროგრამაში საშემოსავლო წყაროების ჩამოთვლის შემდეგ, წესდებაში ცვლილებების მეთოდიკაა განმარტებული. ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გამგეობის და გენერალური საბჭოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობის წარდგენით. გენერალური საბჭოს უმრავლესობასაც ცვლილებების წარდგენა შეუძლია. პროგრამის კომენტირების და მართვის მოწესრიგების უფლება ეკუთვნის გამგეობის საბჭოს.

მაღალფარდოვანი ოსმალურით დაწერილი წესდების მუხლებზე ყურადღებას იქცევს, ის, რომ აღმასრულებელ საბჭოს ეძლევა ძალიან დიდი უფლებები... ამის საწინააღმდეგოდ მმართველი და საერთო (გენერალული) საბჭოების წევრების უფლებები ძალიან შეზღუდულია. ოსმანიზმის იდეის ერთგულებას და პოლიტიკაში არავითარ შემთხვევაში ჩაურევლობის პარაგრაფები გვაფიქრებინებს, რომ დამაარსებლები „სეპარატიზმის ამოფხვრისთვის გადამჭრელი ზომების მიღების მცდელობაში იყვნენ“ (Tunaya 1986, 457). პროგრამაში დამაარსებელთა სახელები მოყვანილი არ არის. ამიტომ 1919 წელს 30 მარტს დაარსებული „ლაზთა ეროვნული განვითარების საქველმოქმედო საზოგადოების“ დამაარსებლების: ბუიუქ ჰასან ფაშაზადე აჰმეთ ბეის, ჰასან ფიქრი ბეის, მეჰმეთ ქადრი ბეის, ჰუსნუეფენდის და ფაჰრი ეფენდის ამ ორგანიზაციასთან კავშირი არ დგინდება (Tunaya 1986, 456), მაგრამ, ზემოთ ხსენებული პიროვნებების მიერ, იზმირის დაპყრობის შემდეგ, უკვე სხვა სახით, კვლავ ამოქმედებულ იქნა. რისი „ხელახლა“ შექმნის გამოცხადება მოხდა 1919 წლის ორ ივნისს (Özel 1991, 68). ამავე განცხადებაში წერია, რომ „თანამემამულეებს, რომლებსაც, თავიანთი აზრის გამოხატვის სურვილი ექნებათ, შეუძლიათ მოვიდნენ პირველი საათიდან ექვსამდე ორგანიზაციის ცენტრში, რომელიც მდებარეობს თაჰთაქალეს ქუნდაქჩის საქმიანი ეზოს 30 ნომერში“. 1919 წ. 18 ივლისის განცხადებაში კი: “დასახული მიზნების მისაღწევად მმართველი და კონტროლის საბჭოების ასარჩევად, შუა დღის შემდეგ ორ საათზე, სარაჩჰანებაში-ში მდებარე ნუმუნე–ი ირფანის მექთებში ყველა თანამემამულის მოსვლის საჭიროება“ ცხადდება (Özel 1991, 68). როგორც ირკვევა, ამ ორგანიზაციის ხელმეორედ შექმნამაც დიდი შედეგი არ მოიტანა (Özel 1991, 68). ყოველ შემთხვევაში, სხვა მონაცემები ჩვენ არ გაგვაჩნია. მისი მოქმედების ერთადერთი მაჩვენებელი არის ის, რომ ორგანიზაციის დამაარსებელთაგან აჰმეთ თევფიკი და ალი რიზა ფაშაზადე ჯელილ ბეი ერზურუმის კონგრესის პერიოდში ტრაპიზონის ვალის მეჰმეთ გალიფ ბეი-თან ერთად ამ რეგიონის რაიონებს ეწვივნენ (Goloğlu1968,117) და, სავარაუდოდ, მიიღეს მონაწილეობა კონგრესში.

დავუბრუნდეთ „სტუდენტურ საზოგადოებას“. მისი პროგრამა (წესდება) მიღებულია 1914 წელს, დაბეჭდილი კი არის 1916 წელს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ლაზი სტუდენტების ორგანიზაცია“ სულ ცოტა ამ ორ თარიღს შორის მოქმედებდა. „ლაზთა ეროვნული განვითარების ორგანიზაციის“ წესდების პირველ მუხლში წერია, რომ: “ამჟამად ლაზთა ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელით სტამბოლში ერთი საზოგადოება შეიქმნა“. სიტყვა „ამჟამად“ მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო ადრე შექმნილი „ლაზი სტუდენტების ეროვნული ორგანიზაციის“ გაგრძელებაა. თუნაიას მიერ მოხსენიებულ ამ ორგანიზაციის „ძირითად წესდებაშიც“ ხაზგასმულია, რომ ის მხოლოდ თანამემამულეთა შორის ურთიერთ დახმარების საზოგადოებაა (Tunaya 1986, 457-459). როგორც ირკვევა, ეს ორგანიზაცია ცოტა ხანში დაიხურა.

ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდში, მასში მცხოვრებ სხვა ერებთან ერთად, “ლაზებისთვისაც ეროვნული თვითშეგნების მოძიების პერიოდი იყო. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ 80 წლის წინ სტამბოლში მცხოვრებმა ლაზმა ინტელიგენციამ შექმნა „ლაზი სტუდენტების ეროვნული ორგანიზაცია. ის, რომ წესდებაში ოსმალობის იდეის მომხრეობაა ხაზგასმული და ის, რომ ლაზურ ენასთან დაკავშირებით ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები მიუთითებს იმაზე, რომ ეს ხალხი თურქეთში მცხოვრები მუსლიმურ და თურქულ ელემენტებთან მეტწილად შედუღებული იყო“, – ასკვნის სარიჰანი (Sarıhan 1994, 45), რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ლაზები მუდამ უჯანყდრბოდნენ ოსმალოებს და თავისი ადათ–წესებით ცხოვრობდნენ (ბაწაში 2007, 11–16). რაც შეეხება მე–20 ს. დასაწყისს, ამ დროს გაინტენსიურდა ეროვნული ფესვების ძიება, რასაც აღნიშნავდნენ ნიკო მარი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაწაში, წათე. 2007. „ეროვნული მოძრაობა ჩრდილო–აღმოსავლეთ ანატოლიაში XVIII ს.–ის ბოლოს და XX ს.–ის პირველ ნახევარში“. *პერსპექტივა–XXI,* IX: 11-16.

Goloğlu, Mahmut. 1968. *“Erzurum Kongresi”.* Ankara.

Özel, Sabahattin. 1991. *“Milli Mücadelede Trabzon”,* TTK Basımevi. Ankara.

Sarıhan, Zeki. 1994 (Ağustos). “1914te İstanbul’da kurulan Laz Talebe Cemiyeti”, *Toplumsal Tarih (Üç Aylık İstanbul dergisi, Tarih Vakfi Yayınları):* 44-47.

Tunaya, Tarik Zafer. 1986 (Şubat). “Türkiye’de Siyasal Partiler”, *Hürriyet Vakfi Yayınları,* cild-2: 456-459.



Laz Talebe Cemiyeti Nizamnamesi